დანართი 1

საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების კურსის ანოტაცია

კურსის სახელწოდება: ტელეოპერატორის ხელოვნება

კურსის მოცულობა: 90 საათი

კურსის ხელმძღვანელი: ნინო გელოვანი, ბესო ორმოცაძე.

კურსის განხორციელებაში მონაწილე მასწავლებლები: ბესო ორმოცაძე, ნინო გელოვანი, მალხაზ ბარბაქაძე.

კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა: ნებისმიერი დაინტერესებული პირი.

კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის: ვიდეოკამერის მოხმარების ელემენტარული გამოცდილება. სასურველია მსმენელს ჰქონდეს საკუთარი ვიდეო კამერა ან ფოტოაპარატი.

კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები: პროგრამის მიზანია, მსმენელს მისცეს თანამედროვე ციფრული და ტრადიციული ვიდეოკამერის მოხმარების საწყისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. შეასწავლოს კომპოზიციის საფუძვლები, ტელე-ჟურნალისტიკა და პირდაპირ ეთერში მუშაობის პრინციპები. გააცნოს ვიდეოგადაღებისას და ვიდეომასალის კომპიუტერული დამუშავების პროგრამები (Adobe Premiere).

კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს ეცოდინებათ ტელევიზიის მუშაობის ძირითადი სპეციფიკური საკითხები და ექნებათ სატელევიზიო ტელეკამერასთან მუშაობის ძირითადი უნარ-ჩვევები. შეეძლებათ ეფექტურად იმუშაონ სხვადასხვა განათებასა და გარემო პირობებში, დაგეგმონ და დაამონტაჟონ გადაღებული მასალა. გარდა ამისა, მსმენელები შეიძენენ ცოდნას ზოგადად ტელევიზიის განვითარების ეტაპების და გადაცემების დაგეგმვისა და განხორციელების სპეციფიკის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას სატელევიზიო სივრცეში.

მონაწილეთა შეფასების სიტემა: მსმენელი ვალდებულია დაესწროს მეცადინეობებს და შეასრულოს ყველა პრაქტიკული და თეორიული დავალება. დასწრება ფასდება 20 ქულით. სასწავლო პროგრამის V და XII კვირას მოხდება მსმენელების შუალედური შეფასება ორივე მოდულში პრაქტიკული დავალების შესრულების საფუძველზე. თითოეული ფასდება 10 ქულით (ჯამში 40 ქულა). XV კვირას გათვალისწინებულია საბოლოო პრეზენტაცია (შეფასება 40 ქულა)

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები: მსმენელს სერთიფიკატი მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ იგი კურსის განმავლობაში შესძლებს მინიმუმ 71 ქულის დაგროვებას.

კურსის სტრუქტურა და შინაარსი:

I მოდული - ტელეოპერატორის ხელოვნების საფუძვლები:

№	**ლექციის/პრაქტიკუმის/ სამუშაო ჯგუფის და. ა.შ. თემა**	**სთ.**	**ლიტერატურა**
1	შუქტექნიკა და ფერთა ხედვა 3	3სთ	პ.რ.დ.ტ. (პრაქტიკული რჩევები დამწყებ ტელეოპერატორებს)გვ. 3–4 პ.რ.დ.ტ. გვ. 5-6
2	ფერის ატრიბუტი. ფერადოვანი ტემპერატურა. ფერადოვანი ტემპერატურის რიცხვითი მნიშვნელობები სინათლის სხვადასხვა წყაროსთვის. სანათებლები და ხელსაწყოები. ოპერატორული განათების მოთხოვნები. განათების მახასიათებლები. შუქის სახეები	3სთ	პ.რ.დ.ტ. გვ. 7–8 პ.რ.დ.ტ. გვ. 9–10
3	ფერთა სინთეზი. მუქი ობიექტების არეკვლის კოეფიციენტი. განათების ხელსაწყობის შუქტექნიკური დახასიათება. საღებავისა და ფერადი ფილტრების შერევა. ფერთა შეცვლა. დღის განათება.	3სთ	პ.რ.დ.ტ. გვ. 10–12 პ.რ.დ.ტ. გვ. 12–14
4	სინათლის ხარისხი. ბუნებრივი წყაროების განსხვავებული შუქი. შუქის მოქმედება.	3სთ	პ.რ.დ.ტ. გვ. 14–17 პ.რ.დ.ტ. გვ. 17–18 პ.რ.დ.ტ. გვ. 19–21
5	**შუალედური შეფასება**	3სთ	

6	შუქის შთანთქმა. ფერის საკორექციო შუქ-ფილტრები ამრეკლავები. მშთანთქავი პანელები. ჩრდილები	3სთ	პ.რ.დ.ტ. გვ. 21–22 პ.რ.დ.ტ. გვ. 22–24
7	უბრალო ხელოვნური განათება. ერთი განათების წყარო ამრეკლავი ეკრანის დამატება. ფრონტალური შემავსებელი განათების დამატება. ფონური განათება	3სთ	პ.რ.დ.ტ. გვ. 25–31 პ.რ.დ.ტ. გვ. 31–34
8	ნატურმორტების განათება ერთი სინათლის წყაროთი. გაფანტული განათება ერთი წყაროთი. ორი ქოლგიდან არეკლილი შუქით განათება. განათება ერთი ძირითადი წყაროთი და ფონური განათება ზედაპირის ტექსტურის გამოვლინება მცოცავი შუქის მეშვეობით. საერთო ამონათებულობა. გაბნეული ფონური განათება. დამატებითი ფონური განათება. აქცენტირებული განათება ქვემოდან.	3სთ	პ.რ.დ.ტ. გვ. 34–37 პ.რ.დ.ტ. გვ. 37–42
9	როგორ მივიღოთ მაქსიმალურად კარგი განათება მინიმალური რაოდენობის ხელსაწყოთი. ადგილმდებარეობის არჩევა.	3სთ	პ.რ.დ.ტ. გვ 42 პ.რ.დ.ტ. გვ 43-44
10	საუკეთესო კუთხის არჩევა.	3სთ	პ.რ.დ.ტ. გვ 44-47

11	შემავსებელი შუქი. ფონური შუქი.	3სთ	პ.რ.დ.ტ. გვ 47 პ.რ.დ.ტ. გვ 47-50
12	**შუალედური შეფასება**	3სთ	
13	გადაღება პავილიონში ხელოვნური შუქის (3200°K) გამოყენებით.	3სთ	
14	გადაღება ნატურაზე.	3სთ	
15	**პრეზენტაცია**	3სთ	

II მოდული - ტელეჟურნალისტიკა და პირდაპირ ეთერში მუშაობის სპეციფიკა

N	**ლექციის/სემინარის/პრაქტიკუმის/ სამუშაო ჯგუფი და ა. შ. თემა**		**ლიტერატურა (შესაბამისი გვერდების მითითებით)**
1.	ტელევიზიის განვითარების ეტაპები დასაბამიდან დღემდე.	3სთ	ნ. ლეონიძე ,,ცისფერი ეკრანი“ გვ.3-33
2.	ოპერატორი სატელევიზიო სივრცეში, გრიმი ტელევიზიაში.	3სთ	ნ. ლეონიძე ,,სატელევიზიო ჟურნალისტიკა“ გვ. 18-24

3.	ტელევიზიის ანალიტიკური ჟანრები და მათი გადაღების სპეციფიკა. ტელევიზიის სპეციფიკა და მისი დამახასიათბელი ნიშნები. (გადაცემების იმავდროულობა, ინტიმურობა)	3სთ	ნ. ლეონიძე ,,ცისფერი ეკრანი“ გვ. 35-40; გ. ჩართოლანი ,,ტელეჟურნალსტიკა“ გვ. 85-95 გ.ჩართოლანი „ტელეჟურნალისტიკა“ გვ.114-121
4.	ტელე რეჟისურის ძირითადი პრინციპები. ახალი ამბების სამსახური და პირდაპირ ეთერში მუშაობა.	3სთ	ვ.საპაკი „ტელევიზია და ჩვენ“ სტეილე-„სატელევიზიო რეპორტაჟი“ გვ.29-43 ფენგია- როგორ მოვამზადოთ სატელევიზიო გადაცემა (რიდერი)
5.	**შუალედური შეფასება**	3სთ	
6.	სატელევიზიო ბადე და სატელევიზიო მაუწყებლობის სახეები. სატალევიზიო გადაცემის სცენარის და სასცენარო გეგმის მომზადება.	3სთ	რ.დვალიშვილი „ტელევიზიის ხელოვნება“ გვ .24-34 მ.ბორაშვილი „კინორეჟისურა“ (ქრესტომათია) გვ. 45-56
7.	სატელევიზიო ტექნიკური აღჭურვილობა.	3სთ	ბ. ორმოცაძე ,,ოპერატორი სატელევიზიო სივრცეში“ გვ.20-24
8.	სატელევიზიო ჟანრები (ტელენარკვევი, ინტერვიუ, რეპორტაჟი).	3სთ	სტეინლე ,,სატელევიზიო რეპორტაჟი'' გვ. 29-43
9.	საზღვარგარეთის ტელევიზია. საკაბელო ტელევიზია და მაუწყებლობა დედამიწის თანამგზავრით.	3სთ	გ. ჩართოლანი ,,ტელე ჟურნალისტიკა“ გვ.117-129; 138-140

10.	დიალოგისა და თოქ-შოუს პირდაპირ ეთერში გადაღების სპეციფიკა. რეალითი შოუ, მოკლე თოქ- შოუები, ჯგუფური მუშაობა სატელევიზიო ტექსტზე და სხვა კომპონენტებზე.	3სთ	ფენგია- როგორ მოვამზადოთ სატელევიზიო გადაცემა (რიდერი) ფენგია- როგორ მოვამზადოთ სატელევიზიო გადაცემა (რიდერი)
11.	არხი, პროგრამა, გადაცემა. გადაცემის ფორმატი პროდიუსერი ტელევიზიაში. ჟურნალისტის პოზიცია პირდაპირი და სტუდიური ჩართვების დროს.	3სთ	რ.დვალიშვილი „ტელევიზიის ხელოვნება“ გვ .74-80 გ. ჩართოლანი ,,ტელე ჟურნალისტიკა“ გვ.27-29 ფენგია- როგორ მოვამზადოთ სატელევიზიო გადაცემა (რიდერი)
12.	**შუალედური შეფასება** (ერთ-ერთი მსოფლიო სატელევიზიო არხის ანალიზი)	3სთ	
13.	ახალგაზრდული ტელეპროგრამები. (მუსიკალური, სპორტული)	3სთ	გ. ჩართოლანი ,,ტელე ჟურნალისტიკა“ გვ.183-195
14.	სატელევიზიო კულტურა და რეკლამა ტელევიზიაში	3სთ	გ. ჩართოლანი ,,ტელეჟურნალსტიკა“ გვ. 159-209
15.	პრეზენტაცია	3სთ	

კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები:

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი სტუდია.

თსუ კინო-ტელე სამონტაჟო სტუდია.